პროექტი

განკარგულება N__

ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო“-სათვის“ დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 5 ერთეული შენობა-ნაგებობისა და მათზე დამაგრებული 48644.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ცენტრალური სპორტული მოედანი) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.267) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების,საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე **საკრებულო ადგენს:**

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო“-სათვის“ დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 5 ერთეული შენობა-ნაგებობისა და მათზე დამაგრებული 48644.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ცენტრალური სპორტული მოედანი) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.267) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მომხსენებელი - ვალერი ყაჭეიშვილი